აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1993 წელს შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი, რომელმაც ობიექტური მიზეზების გამო სოხუმში ვერ მოახერხა მუშაობის დაწყება და მხოლოდ სოხუმის დაცემის შემდეგ 8 საშტატო ერთეულით დაიწყო ფუნქციონირება ქ. თბილისში კიმი ჯაჭვლიანის ხელმძღვანელობით. თანდათანობით დაიხვეწა კომიტეტის უფლება- მოვალეობები, დამტკიცდა დებულება, მუშაობის სტილი და მეთოდები. 1997 წლის 3 იანვარს კი აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილებით მის ბაზაზე ჩამოყალიბდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ხუთი სტრუქტურული და 25 საშტატო ერთეულით. სამინისტროდ არსებობის პერიოდში ის საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან და აფხაზეთის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთობლივად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა აფხაზეთიდან დევნილთა სახელწიფო ობიექტებში ჩასახლება, მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭება და რეგისტრაცია. 2004 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია, ხოლო აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 1 თებერვლის №9 დადგენილებით შეიქმნა და დღემდე ფუნქციონირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით დევნილთა საქმეების დეპარტამენტს დაემატა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რეგიონული წარმომადგენლობების კოორდინაციის, მართვისა და მონიტორინგის ფუნქცია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი საქრთველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად წარმატებით განაგრძობს მასზე დებულებით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებისა და დასახული ამოცანების შესრულებას.